კავკასიაში ამჟამად ახალი რეალობაა

მაკა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.01

აბსტრაქტი

ქართულ-რუსული ურთიერთობები ყოველთვის იყო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მსჯელობის საგანი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში თავიანთ პუბლიკაციებში ისინი ეხებოდნენ და აანალიზებდნენ იმ პრობლემებს, რაც მათ ურთიერთობაში იჩენდა თავს.

იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი ყოველთვის საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული, ქართველ პუბლიცისტებს წერილებსა თუ სტატიებში არა ერთი მაგალითი მოჰყავთ. ისინი პირდაპირ ამხელენ რუსების შოვინისტურ ქმედებებს, მათ დანაშაულებრივ საქციელს.

მე-19 საუკუნის პრესის მიზანი იყო რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ქართველ ერში თავისუფლების იდეების გაღვივება.

ქართული საინფორმაციო საშუალებები ხშირად აღნიშნავდნენ - რუსულ პოლიტიკას მრავალი ქვეყანა დაუღუპავს და საქართველოსაც ამას უპირებს. რუსეთი უპირატესობას ანიჭებს პრობლემის პოლიტიკურ და არა სამართლებრივ მხარეს.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ცდილობენ რუსული პროპაგანდა ინტენსიურად აწარმოონ და გააღვივონ რუსეთთან ომის განახლების შიში. საქართველოს მოსახლეობა საფრთხის წინაშე დგება, რომ თუკი ქვეყანა ჩრდილო

ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გადაწყვეტილებას მიიღებს, ის ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს სამუდამოდ დაკარგავს.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-რუსული ურთიერთობები, საინფორმაციო საშუალებები, პუბლიკაცია, რუსიფიკატორული რეჟიმი

There is currently a new reality in the Caucasus

Maka Dolidze, Associate Professor
David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

Georgian-Russian relations always was the subject of discussion by Georgian society. Even in the 19th century, in their publications, they discussed and analyzed the problems that appeared in their relationship.

Russia was always against Georgia. Georgian publicists in letters and articles expose the chauvinistic actions of the Russians, their criminal behavior.

The purpose of the 19th century press was to fight against the Russifying regime and to stir up the ideas of freedom in the Georgian nation. Georgian media often mentioned, that Russian policy destroyed many countries and the same will happen in Georgia. Russia prefers only the political side of the problem.

Russian media is trying to produce Russian propaganda and stir up fear of the war with Russia. The population of Georgia is in danger. If the country joins the North Atlantic Alliance, He will lose South Ossetia and Abkhazia forever.

Keywords: Georgian-Russian relations, media, publication, Russifying regime

ქართულ-რუსული ურთიერთობები ყოველთვის იყო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მსჯელობის საგანი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში თავიანთ პუბლიკაციებში ისინი ეხებოდნენ და აანალიზებდნენ იმ პრობლემებს, რაც მათ ურთიერთობაში იჩენდა თავს.

რუსეთი კავკასიას ისე უყურებდა, როგორც დასაპყრობ სივრცეს, რომელსაც მომავალში საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გამოიყენებდა.

1830 წელს მთავარმართებელ ი. პასკევიჩის ინიციატივით პეტერბურგიდან საქართველოში მოვლინებულმა სენატორებმა: ე. მეჩნიკოვმა და პ. კუტაისოვმა შეადგინეს ამიერკავკასიის მხარის ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაში საქართველოსა და ქართველი ხალხის სრულ ასიმილაციას „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით გადავაქციოთ ამიერკავკასია და რუსეთი ერთ მთლიან ორგანიზმად, ვაიძულოთ ადგილობრივი მოსახლეობა, ილაპარაკონ, იაზროვნონ და გარემოებები აღიქვან რუსულად.“ [1]

მე-19 საუკუნეში ე. მეჩნიკოვი და პ. კუტაისოვი თუ ცდილობდნენ ამიერკავკასიისა და რუსეთის ერთ მთლიან ორგანიზმად გადაქცევას, 21-ე საუკუნეში ალ. დუგინის მიზანი იყო ავტონომიური ჩრდილო კავკასიური ზონის შექმნა, რომელიც კონტროლირებადი იქნებოდა რუსეთის მიერ.[2]

ყველასათვის ცნობილია, რომ მედია საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალებაა და სწორედ ამიტომაც ერმოლოვის მხარდაჭერით 1819 წლის 8 (21)მარტს გამოვიდა „საქართველოს გაზეთი“. საქართველოსა და მთელ კავკასიაში პირველი გამოცემა. მასში ძირითადად საიმპერიო ხელისუფლებისა და ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის ბრძანება-განკარგულებები, განცხადებები იბეჭდებოდა. ქვეყნდებოდა ისეთი მასალები, რომლებიც ასახავდნენ იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. გაზეთი მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ერმოლოვი, რომელსაც არ უყვარდა ქართველი ხალხი, ვორონცოვს სწერდა: ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება, ...უდიდესი გმირობაა საჭირო, იღწვოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა, და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატია მისთვის და კიდევ მზად არის უღალატოს.“ [3]

გაზეთი რუსეთის იმპერიამ საკუთარი მიზნებისათვის, ანუ ყოფილ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთიან რუსულ სივრცეში გასაერთიანებლად დაგეგმა, გაზეთის მესვეურს, ანუ რუსეთის მმართველობას სინამდვილეში სძულდა ქართული ენა და მაშინ, როდესაც გაზეთს აარსებდა, ქართულ წერა-კითხვას, საქმის წარმოებასა და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას კრძალავდა. გრ.ორბელიანი რუსეთის ჩინოვნიკებს „ხალხთა სიძულვილის შეუდარებელ ოსტატებს“ უწოდებდა.[4]

რუსი პოლიტიკოსების საქციელს არა ერთი ქართველი პუბლიცისტი გმობდა. მაგ. ნიკო ნიკოლაძე წერდა: „რასაც პეტრე პირველმა – გენიოსმა – რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, ჩვენში ერმოლოვმა – დიდმა და ჭკუიანმა ვერ მოახერხა, – ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით და ოსტატობით შეაპარა, შეაპარა ბრმა, მაიმუნური, გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნელების ზნისა და ცხოვრებისა“ [5]

რუსი ხელისუფალნი ცდილობდნენ ქართველი ხალხის გადაგვარების გზაზე დაყენებას, მათი სარწმუნოების შებილწვას, იბრძოდნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ეროვნული ერთიანობის წინააღმდეგ, სხვადასხვა ხრიკებს მიმართავდნენ და ამით ხელს უწყობდნენ მათ შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას. ,,არ გვეყო, რომ ქართველობა სარწმუნეობრივმა სხვადასხვაობამ დააქუცმაცა, ახლა მაჰმადიან ქართველებს ეუბნებიან, თქვენ ქართველები არა ხართო, ქართული წერა-კითხვა არ უნდა ისწავლოთო, გაგონილა ასეთი ძალ-დატანება. ქობულეთელი ან აჭარელი ქართველი არაა. მაშ ვინაა ბრძანეთ?“[6]

…ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე……გიორგი გვაზავა ჟურნალ „ერის“ ფურცლებზე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეროვნული ცხოვრების გასანადგურებლად ყველაფერი კეთდებოდა. გააუქმეს ქართული ეროვნული ფული, ჩაჰფუშეს თავისუფალი ეკლესია, გაუღვივეს თავად-აზნაურობას ევროპულად დროსტარების სურვილი და მზადებას შეუდგნენ სამეგრელოსა და გურიის დამოუკიდებლობის მოსასპობად.

ქართველ პუბლიცისტებს, წერილებსა თუ სტატიებში, არა ერთი მაგალითი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი ყოველთვის საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ისინი პირდაპირ ამხელენ რუსების შოვინისტურ ქმედებებს, მათ დანაშაულებრივ საქციელს.

იმდროინდელი პრესის მიზანი იყო რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ქართველ ერში თავისუფლების იდეების გაღვივება. „ … ყოველი შეგნებული ქართველი ვალდებულია მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და მედგრად შეებრძოლოს ჩვენ გამანადგურებელ ძალებს... ქართველი ერი დაჩაგრულია, მისი პიროვნება გათელილია. და ეს გათელვა იცით თქვენ, რამდენად შორს წავიდა” - აი, ასე გვაფრთხილებდა ჟურნალი„ჩვენი ერი” გასული საუკუნის დასაწყისში [7].

მაშინ, როდესაც მთელი XIX და XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზრი მსჯელობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თუ „შეერთების” სიავკარგეზე მიხაკო წერეთელი წერდა: „მართალია, წინათაც წაგვრთმევია პოლიტიკური თავისუფლება, წინათაც ვყოფილვართ ხოლმე მსხვერპლნი მრავალ ურდოთა შემოსევისა და განადგურებისა, მაგრამ არა ყოფილა მაგალითი ჩვენს ისტორიაში, რომ რომელსამე უცხო ტომის ხალხს ძირიანად აღმოეფხვრას ქართველი ხალხის გულიდან საქართველოს ტერიტორიაზედ სურვილი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისა”.[8] მას სააშკაროდ გამოქონდა რუსული პოლიტიკა და

მოითხოვდა რუსების საქართველოდან გასვლას და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას.

ქართული საინფორმაციო საშუალებები ხშირად აღნიშნავდნენ, რუსულ პოლიტიკას მრავალი ქვეყანა დაუღუპავს და საქართველოსაც ამას უპირებს. რუსეთი უპირატესობას ანიჭებს პრობლემის პოლიტიკურ და არა სამართლებრივ მხარეს.

რუსეთი ყოველთვის ცდილობდა ხორცი შეესხა პრინციპისათვის „გათიშე და იბატონე". ამ პრინციპს ხელს უწყობდა საქართველოს დაყოფა აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებად. აფხაზები და ოსები ეთნიკური ჯგუფებია, რომლებიც ენობრივად ქართველებს არ ენათესავებიან. ისინი თვლიან, რომ ქართველები არ არიან, მათი ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნის და უნდა გამოეყონ მას.

საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზეთისა და ოსეთის დეფაქტო ხელისუფლებას და მისი აგრესია აშკარად გაიზარდა მას შემდეგ, რაც საქართველომ სურვილი გამოთქვა ყოფილიყო ნატოს წევრი ქვეყანა. რომ არა რუსული მხარდაჭერა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები არ წარმოიშობოდა.

რუსულმა პოლიტიკამ მიზანშეწონილად შეუწყო ხელი კავკასიაში ერთაშორისი ურთიერთობების გამწვავებასა და კონფლიქტების გაღვივებას. „რუსებმა ყველა ერთმანეთს გადაგვკიდა. ერთმანეთს ვჭამთ და ვერ მივხვდით, რომ პირველი დღიდანვე უნდა გვეთქვა, ჩვენი მოწინააღმდეგე რუსეთი იყო და არა რომელიმე კავკასიელი ხალხი" – წერდა ჩეჩენი ხიზრი ალმადოვი [9].

რუსეთი ყოველთვის ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მთელი კავკასია და სწორედ ამის გამოა, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტები შეუძლებელს ხდის კავკასიის ხალხთა ერთობას. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჟურნალი „ცხუმი" მოგვიწოდებდა: „XXI საუკუნე კარს მოგვადგა. დროა კავკასიელმა ხალხებმა გვერდზე გადავდოთ ურთიერთპრეტენზიები, გაუთავებელი დავა და

ერთიანი ძალისხმევით ვიბრძოლოთ ჩვენი ხალხების კონსოლიდაციისა და დამოუკიდებლობისათვის”[10].

21-ე საუკუნეში მიუღებელი იყო რუსეთი თავს დასხმოდა თავის სუვენერულ და დამოუკიდებელ მეზობელს. რუსეთი დეზინფორმაციის გავრცელების გზით ცდილობდა დაერწმუნებინა როგორც რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობა, ასევე საერთაშორისო საზოგადოება, რომ ომი 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველომ დაიწყო ეთნიკურ ნიადაგზე და მოსახლეობის „დასაცავად“ რუსეთი იძულებული გახდა საქართველოში „მშვიდობის დასამყრებლად” შემოსულიყო.

არა და ომი რუსეთმა რომ დაიწყო ამას დასავლეთის თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება აღიარებდა და იზიარებდა მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას. ამ ფაქტს თვით პუტინიც კარგად გრძნობდა და აღშფოთებას გამოხატავდა ამის გამო. გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა პუტინმა გაოცება ვერ დამალა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი ასე ერთსულოვნად იზიარებს მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას – წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი”[11]. რუსული პროპაგანდისტული მედია კონფლიქტის თავისებურ სურათს ხატავდა. ფაქტების ანალიზისაგან თავს იკავებდა და მხოლოდ ცალმხრივი ბრალდებებით იფარგლებოდა.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა თუ სტატიებში რუსები საუბრობდნენ ქართველების მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე და ოსი ხალხის გენოციდზე. რუსულ სამაუწყებლო და ბეჭდვით მედიაში გაჩაღდა მძლავრი ანტიქართული კამპანია. რუსული საინფორმაციო საშუალებები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ყველაფერი ქართველებს დაბრალებოდათ და მტრის ხატად წარმოეჩინათ.

„ საქართველო არ დაუშვებს ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარებას. უნდა გავაძლიეროთ ევროკავშირის ყოფნა საქართველოში, რომელიც ჩვენთან უკვე არის სადამკვირვებლო მისიით, მაგრამ უნდა ვთხოვოთ გააძლიეროს, შექმნას სამშვიდობო ძალები.“ - აცხადებდა ერთ-ერთ

ინტერვიუში ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი [12]. პუბლიკაცია საკმაოდ საინტერესოა. მართალია იგი გვესაუბრება იმ საკითხების შესახებ, რამაც არაერთხელ გაიჟღერა პრესის ფურცლებზე, მაგრამ აქვე დასძენს, რომ კავკასიაში ამჟამად ახალი რეალობაა: სუსტდება რუსეთი, ძლიერდება ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთი. „რუსეთს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ უკან თურქეთია. უნდა გაიყვანოს რუსეთმა მისი ხელმოწერილი დოკუმენტის შესაბამისად ჯარები საქართველოდან. უნდა შეასრულოს 2008 წლის აგვისტოს შეთანხმება“.

ქართველი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მთავარი მიზანი რეგიონში გავლენების ხელახალი მოპოვება და მათი ევროკავშირს მიღმა დატოვებაა.

რუსული საინფორმაციო საშუალებები ცდილობენ რუსული პროპაგანდა ინტენსიურად აწარმოონ და გააღვივონ რუსეთთან ომის განახლების შიში. საქართველოს მოსახლეობა საფრთხის წინაშე დგება, რომ თუკი ქვეყანა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გადაწყვეტილებას მიიღებს, ის ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს სამუდამოდ დაკარგავს.

რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაზე არ გამქრალა, მაგრამ მნიშვნელოვნად შესუსტებულია - ვკითხულობთ ქართული პრესის ფურცლებზე.

რუსული პროპაგანდის მიზანი საზოგადოების გონების მოწამლვა და დასავლელი პარტნიორების მიმართ უნდობლობის გაზრდაა - აცხადებენ ქართველი ექსპერტები.

რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევა ადვილი რომ არ იქნება, ამას ერთხმად იზიარებენ ისინი და გვთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს და გადაწყვეტილებებს.

ლიტერატურა

1. ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ. 2013: 20
2. Дугин А. Основы геополитики, М.,1991ю

3. ალექსი ერმოლოვი https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98 ბოლო ნახვა 15.X.2023;
4. ნიკოლეიშვილი ა, ორტომეული. ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ტომი პირველი, ქუთაისი, 2014: 307;
5. ნიკოლაძე ნ, თხზ. ტ.1, თბ., 1962:142;
6. ერი, 1909. 2:11
7. ჩვენი ერი, 1909. 1:9;
8. ისარი, 273, 1907. 273
9. კვირის პალიტრა. 2008: 8-14 აგვისტო;
10. ცხუმი. 1991. 3.
11. New York Times. 2008 sept:8.
12. გაზ.„კვირის პალიტრა”, 2023 წლის 25 სექტემბერი;